



2010 წელი იუნესკომ კულტურათა დაახლოების წლად გამოაცხადა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურათაშორისო კომუნიკაციების განყოფილების მიერ დაიგეგმა არაერთი ღონისძიება, რომელიც იუნესკოს საერთო გეგმის შემადგენელი ნაწილი გახდა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელიც იუნესკოს ამ წამოწყებაში

მონაწილეობს.

ჩვენი უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს შორისაა ელჩის საათი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ელჩების მოწვევას და მათ მიერ სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის თავიანთი ქვეყნის კულტურის გაცნობას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით დღეს, 15 აპრილს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია ლატვიის ელჩი ბატონი ანდრის ვილცანსი რომელმაც, უნივერსიტეტის რექტორთან პროფესორ ჯონი აფაქიძესთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ლატვიის კუთხე გახსნა. ღონისძიებას უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი დაესწრო.